



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 26
28/04/2017

26-04-4-201704281537



„საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 23 მაისი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 29 მაისი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გურამ ანანიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ცნობა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2017 წლის 23 მაისს დღისა 16:00 საათზე (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2017 წლის 29 მაისი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №--

2017 წლის -- მაისი

დაბა ქედა

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 85¹ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადგენს:

მუხლი 1.

1. დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტები თანახმად დანართი №1-სა.

2. დამტკიცდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა თანახმად დანართი №2-სა.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტები

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს დადგენილება განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესს, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტსა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას (შემდგომში- „ნუსხა“).

2. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციაზე.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

1. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საკუთარ (www.keda.ge) ელექტრონულ რესურსებზე.

2. ამ დადგენილებით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციასთან ერთად მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

3. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ღიაა და თანაბრად ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის. დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან სხვა რაიმე შეზღუდვების დადგენა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი.

5. საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

6. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება მუნიციპალიტეტს არ ათავისუფლებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან.

მუხლი 4. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და გაცემის წესი

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე (www.keda.ge) წერილობითი განცხადების წარდგენით.

2. ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის/საკრებულოს ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული ელ.განცხადება მიღებისთანავე გადაეგზავნება ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას/საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების და საორგანიზაციო განყოფილებას რეგისტრაციისათვის და შემდგომში შესაბამის განცხადებაზე რეაგირება დაევალება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს (პირებს), რომელთა კომპეტენციასაც წარმოადგენს მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადება.

3. ელექტრონულად მომზადებული ინფორმაციის დამუშავება/მომზადების შემდგომ, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი/საკრებულოს აპარატის უფროსი წერილობითი სახით ადასტურებს ინფორმაციის გაცემას ან უარს აცხადებს ინფორმაციის გაცემაზე, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით ელექტრონულად ეცნობება განმცხადებელს.

4. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაცივმა დაინტერესებული მხარის მიერ განცხადებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე გაგზავნით ან მისივე მოთხოვნით კომპაქტურ დისკზე ჩაწერით.

5. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უნდა გაცივს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით.

6. მოთხოვნილი ელექტრონული საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო ვადები აითვლება ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში/საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების და საორგანიზაციო განყოფილებაში ოფიციალურად რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 5. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (პირები)

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განსაზღვროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (პირები).

2. ქედის მუნიციპალიტეტის შესაბამისი საჯარო მოსამსახურეების ვალდებულნი არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილებით გათვალისწინებული დოკუმენტები დამუშავებული სახით, ელექტრონულ ფორმატში მიაწოდონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს, რომელიც ეცნობა მათ და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ელექტრონულ რესურსზე.

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა

№	პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის დასახელება	გამოქვეყნების ვადა	განახლების ვადები
1	მუნიციპალიტეტის სტრუქტურა და ფუნქციები		განახლება დია ცვლილების შემთხვევაში
2	საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, წევრების და აპარატის უფროსის შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები		განახლება დია ცვლილების შემთხვევაში
3	გამგებლის, გამგებლის პირველი მოადგილის, მოადგილეების, სამსახურის უფროსების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები		განახლება დია ცვლილების შემთხვევაში
4	ინფორმაცია საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების შემადგენლობის შესახებ		განახლება დია ცვლილების შემთხვევაში
5	საკრებულოს აპარატში დასაქმებულ პირთა სახელი, გვარი, დაკავებული თანამდებობა, სტრუქტურული ერთეულების მითითებით		განახლება დია ცვლილების შემთხვევაში
6	გამგეობაში დასაქმებულ პირთა სახელი, გვარი, დაკავებული თანამდებობა, სტრუქტურული ერთეულების მითითებით		განახლება დია ცვლილების შემთხვევაში
7	საკრებულოს რეგლამენტი, საკრებულოს აპარატის დებულება, საკრებულოს კომისიების დებულებები		განახლება დია ცვლილების შემთხვევაში
8	გამგეობისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები		განახლება დია ცვლილების შემთხვევაში
9	საკრებულოს/გამგეობის მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი, აპარატის სტრუქტურული ერთეულების ტელეფონის ნომრები, გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი,		განახლება დია ცვლილების შემთხვევაში
10	მუნიციპალიტეტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონის ნომერი (განახლება დია ცვლილების შემთხვევაში);		განახლება დია ცვლილების შემთხვევაში

1 1	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, მუნიციპალიტეტში შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	ქვეყნდება კვარტალურად	
1 2	ინფორმაცია მუნიციპალიტეტში გამოცხადებული კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების შესახებ		
1 3	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს გამგეობასა და საკრებულოს აპარატში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესებს		განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1 4	მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს კომისიისა და ბიუროს ოქმები	შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში	
1 5	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები	შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში	
1 6	დასახლების საერთო კრების ოქმები,	გამგეობის მიერ შესაბამისი ოქმის ან მისი ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში	
1 7	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის და გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ;		
1 8	საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში	
1 9	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	ქვეყნდება კვარტალურად	
2 0	საკრებულოს ნორმატიული აქტები და ასევე გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის ის ინდივიდუალური აქტები, რომლებიც არ შეიცავს სახელმწიფო ან/და კომერციულ საიდუმლოებას ან სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს	ქვეყნდება მისი ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში	

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ-ადმინისტრაციული სამართლებრივია აქტის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება კანონისმიერი ვალდებულება - აწარმოოს საჯარო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, ე. ი. საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე განთავსება. კანონის თანახმად, პროაქტიული გამოქვეყნების წესი უნდა განისაზღვროს შესაბამისი ნორმატიული აქტით. ვინაიდან რაიმე უნივერსალური ნორმატიული აქტის მიღების უფლებამოსილება არცერთ სახელმწიფო ორგანოს არა აქვს მინიჭებული, ამიტომ ყველა საჯარო დაწესებულება (მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო) საკუთარი ნორმატიული აქტით ადგენს შესაბამის რეგულაციებს.

პროექტის მიღების მიზეზიც სწორედ ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის შესახებ რეგულირების წესის არარსებობაა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 85¹ მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს საკითხთა წრეს, რომელთა გამოქვეყნების ვალდებულებაც, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გააჩნია, თუმცა ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია შესაბამისი გადაწყვეტილებით გააფართოოს სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ან/და საჯაროდ გამოსაცხადებელი ან/და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა.

წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის დანართი №2-ით განისაზღვრება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა, ანუ ამომწურავი ჩამონათვალი იმ ინფორმაციისა, რომლის გამოქვეყნების ვალდებულებაც ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოს ეკისრება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტების რეგულირება ნორმატიული აქტით, ასევე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის განსაზღვრა.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის შესაბამისად, ხდება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტების განსაზღვრა.

დადგენილების პროექტის შედგება დადგენილების ძირითადი ნაწილისა და ორი დანართისაგან.

დანართი №1-ის შესაბამისად, (საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტები) ქედის მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საკუთარ (www.keda.ge) ელექტრონულ რესურსებზე, ასევე გამგეობა/საკრებულო უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან სხვა რაიმე შეზღუდვების დადგენა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი, ამასთან ერთად საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება მუნიციპალიტეტს არ ათავისუფლებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნას, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულ პირმა მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე (www.keda.ge) წერილობითი განცხადების წარდგენით.

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის/საკრებულოს ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული ელ.განცხადება მიღებისთანავე გადაეგზავნება ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას/საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების და საორგანიზაციო განყოფილებას რეგისტრაციისათვის და შემდგომში შესაბამის განცხადებაზე რეაგირება დაევალება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს (პირებს), რომელთა კომპეტენციასაც წარმოადგენს მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადება.

ელექტრონულად მომზადებული ინფორმაციის დამუშავება/მომზადების შემდგომ, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი/საკრებულოს აპარატის უფროსი წერილობითი სახით ადასტურებს ინფორმაციის გაცემას ან უარს აცხადებს ინფორმაციის გაცემაზე, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით ელექტრონულად ეცნობება განმცხადებელს.

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული მხარის მიერ განცხადებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე გაგზავნით ან მისივე მოთხოვნით კომპაქტურ დისკზე ჩაწერით.

ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით.

მოთხოვნილი ელექტრონული საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო ვადები აითვლება ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში/საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების და საორგანიზაციო განყოფილებაში ოფიციალურად რეგისტრაციის მომენტიდან.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განსაზღვროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (პირები). შესაბამისი საჯარო მოსამსახურეების ვალდებულნი არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილებით გათვალისწინებული დოკუმენტები დამუშავებული სახით, ელექტრონულ ფორმატში მიაწოდონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს, რომელიც ეცნობა მათ და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ელექტრონულ რესურსზე.

დანართის №2-ის შესაბამისად (პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა), მუნიციპალიტეტი ვალდებულია პროაქტიულად გამოაქვეყნოს შემდეგი ინდორმაცია:

- მუნიციპალიტეტის სტრუქტურა და ფუნქციები;
- საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, წევრების და აპარატის უფროსის შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები;
- გამგებლის, გამგებლის პირველი მოადგილის, მოადგილეების, სამსახურის უფროსების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები;
- ინფორმაცია საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების შემადგენლობის შესახებ;
- საკრებულოს აპარატში დასაქმებულ პირთა სახელი, გვარი, დაკავებული თანამდებობა, სტრუქტურული ერთეულების მითითებით;
- გამგეობაში დასაქმებულ პირთა სახელი, გვარი, დაკავებული თანამდებობა, სტრუქტურული ერთეულების მითითებით;
- საკრებულოს რეგლამენტი, საკრებულოს აპარატის დებულება, საკრებულოს კომისიების დებულებები;
- გამგეობისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- საკრებულოს/გამგეობის მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი, აპარატის სტრუქტურული ერთეულების ტელეფონის ნომრები, გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- მუნიციპალიტეტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონის ნომერი (განახლებადაც ცვლილების შემთხვევაში);
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, მუნიციპალიტეტში შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების შესახებ ზოგადი სტატისტიკა;

- ინფორმაცია მუნიციპალიტეტში გამოცხადებული კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების შესახებ;
- ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს გამგეობასა და საკრებულოს აპარატში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესებს;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს კომისიისა და ბიუროს ოქმები
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსა და დასახლების საერთო კრების ოქმები;
- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის, გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ;
- საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა.
- საკრებულოს ნორმატიული აქტები და ასევე გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის ის ინდივიდუალური აქტები, რომლებიც არ შეიცავს სახელმწიფო ან/და კომერციულ საიდუმლოებას ან სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები: ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) ნორმატიული აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ნორმატიული აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს. იგი შემუშავებული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი მალვინა სურმანიძე

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ამირან დევამე - სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ამირან დევამე - სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;